



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 184/ს
05/07/2022

184-21-4-202207051409



**ქ. თბილისში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 12 400 მ³ მოცულობის
ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №11-ში, 12 400 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2013 წლის 2 სექტემბერს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 12 400 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გაცემულია №47 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000022). 2021 წლის 29 იანვარს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-132).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებები უკვე განხორციელებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავი (ნავთობბაზა) მდებარეობს ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №11-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 6 785 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.04.029.046). ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 140 მ-ით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი – 350 მ-ით. ნავთობბაზის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 3 320 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი, ხოლო დაახლოებით 140 მეტრში – რკინიგზის ჩიხი, საიდანაც ნავთობბაზა მარაგდება საწვავით. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 265 მეტრში მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, 300 მეტრში – შპს „რომპეტროლის“, 325 მეტრში – სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, 355 მეტრში – შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ და 430 მეტრში – შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სარეზერვუარო პარკი (21 ერთეული მიწისზედა ცილინდრული რეზერვუარი – ჯამური მოცულობით 12 400 მ³); ავტოგასამართი სადგური (2 ერთეული მიწისზედა რეზერვუარი – ჯამური მოცულობით 100 მ³); სატუმბი სადგური; საწვავის გამცემი სადგურები (ავტოესტაკადა); რკინიგზის ჩიხთან დაკავშირებული მიწისქვეშა მილსადენი; სველი წერტილი; სანიაღვრე სისტემა; მექანიკური გამწმენდი; წყლის ავზი (50 მ²); მეხამრიდები და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განხორციელდა ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რომლის ფარგლებში:

- ნავთობპროდუქტების საცავების რაოდენობა 24 ერთეულიდან შემცირდა 19 ერთეულამდე, ხოლო მოცულობა 12 400 მ³-დან – 12 150 მ³-მდე. კერძოდ, სარეზერვუარო პარკში ნავთობპროდუქტების შესანახად განკუთვნილი 21 ცალი რეზერვუარიდან შეიცვალა 2 ერთეულის (50 მ³ და 100 მ³) დანიშნულება და საწვავის ნაცვლად გამოიყენება წყლის დასაგროვებლად, ხოლო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შესანახად განთავსებული 2 ერთეული (თითოეული – 50 მ³) რეზერვუარი გადაკეთდა წყლის რეზერვუარად;
- შეიცვალა განთავსებული დიზელისა და ბენზინის მოცულობები (ბენზინი – 6 000 მ³ და დიზელი – 6 150 მ³). კერძოდ, სარეზერვუარო პარკში განთავსებული 50 მ³, 100 მ³ და 2 ერთეული 1 000 მ³ ბენზინის რეზერვუარი გადაკეთდა დიზელის რეზერვუარებად, ხოლო 4 ერთეული (400 მ³) და 2 ერთეული (200 მ³) დიზელის რეზერვუარი – ბენზინის რეზერვუარებად;
- რეზერვუარების ტემპერატურის რეგულირებისა და ნავთობპროდუქტების დანაკარგის შემცირების მიზნით, დამონტაჟდა გაგრილების სისტემა. აღნიშნული სისტემის წყალმომარაგება ხორციელდება სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე განთავსებული 100 მ³ მოცულობის მქონე წყლის რეზერვუარიდან, სადაც წყალი ცირკულირებს 2 ერთეული ტუმბოს მეშვეობით (თითოეულის სიმძლავრე – 22,4 ლ/წმ);
- განთავსდა დამატებით 4 ერთეული წყლის რეზერვუარი (თითოეულის მოცულობა – 50 მ³).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გარდა ნავთობბაზაზე განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, ჩამდინარე წყლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ტერიტორიაზე არსებული მექანიკური გამწმენდის გვერდით კომპანიის მიერ დაგეგმილია დამატებით ერთი, ანალოგიური ტიპის, მექანიკური გამწმენდის მოწყობა, რომლის მოცულობა იქნება 4,5 მ³, ხოლო წარმადობა – 3,4 ლ/წმ. გამწმენდის მოწყობის მიზნით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პირველ ეტაპზე, მოხდება ბეტონის საფარის მოხსნა და 1,7 მეტრი სიღრმის ტრანშეის ამოღება, რომლის ძირი მოშანდაკდება ღორღით. შემდგომ ეტაპზე ღორღის ბალიშზე განთავსდება რკინაბეტონის ფილა და 5 მმ სისქის ფოლადის კედლების მქონე მექანიკური გამწმენდი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღდება ბეტონის საფარი და დასუფთავდება ტერიტორია. მიწის სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 დღეს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროცესში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო, სახანძრო და ტექნიკური დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ქ. თბილისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური

ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება დედაქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. ნავთობბაზაზე წარმოქმნილი სანიაღვრე და ტექნიკური ჩამდინარე წყლები, ასევე, ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტები, სანიაღვრე არხების საშუალებით, შეიკრიბება მექანიკურ გამწმენდებში (არსებული და დაგეგმილი), საიდანაც ჩაეშვება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობპროდუქტების რეზერვუარების რაოდენობისა (4 ერთეულით) და წარმადობის (250 მ³-ით) შემცირებით, ასევე შემცირდა ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედებაც. რაც შეეხება მექანიკური გამწმენდის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები არ არის დაკავშირებული ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან. რაც შეეხება მექანიკური გამწმენდის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოიქმნება მუნიციპალური და სახიფათო ნარჩენები, რომელთა შეგროვება ხდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. მუნიციპალური ნარჩენების გატანა ხორციელდება ქ. თბილისის კომუნალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მათ შორის გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი ნავთობპროდუქტები), დროებით თავსდება ნავთობბაზის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ უბანზე და შემდგომ მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობებისა და სახეობების გაზრდასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობბაზიდან დაახლოებით 120 მეტრში მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 3 320 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი. ასევე, ობიექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 265 მეტრში განთავსებულია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, 300 მეტრში – შპს „რომპეტროლის“, 325 მეტრში – სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, 355 მეტრში – შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ და 430 მეტრში – შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურები. ვინაიდან, შემცირდა ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი რეზერვუარების რაოდენობა და მოცულობა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების გაზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნავთობბაზის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მობეტონებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა გლდანის რაიონის გამგეობაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 12 400 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
3. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 29 იანვრის №2-132 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
4. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ აღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 29 იანვრის №2-132 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო